გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს!

ხაშურის მოამბე

№20 (51) 26 მაისი, ხუთშაბათი, 2016 წელი

გილოცავთ!

26 მაისი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული დღეა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ესაა დღე, როდესაც უფლისგან მონიჭებული უდიდესი მადლი – თავისუფლება და დამოუკიდებლობა – რეალური გახდა. ესაა დღე, რომლისთვისაც თაობები იბრძოდნენ, რომლისთვისაც სისხლიანი კატაკლიზმების მთელი ეპოქა დასჭირდა ქართველ ხალხს, რომ ეს ოცნება ასრულებულიყო. ათასგვარ მტრულ გარემოცვაში მოხვედრილი პატარა ერი, როგორიც ჩვენ ვართ, საუკუნეები იბრძოდნენ საკუთარი გენის და იდენტობის შესანარჩუნებლად. სამშობლო ყოველთვის იყო ჩვენი წინაპრების უპირველესი ცნება და საფიცარი. მისი დამოუკიდებლობა კი – ცხოვრების უპირველესი მიზანი. სწორედ ეს დღეა ის წმიდა „ლურჯი ფრინველი“, რომელშიც ერთ ცნებად იყრის თავს დიდი ილიას უკვდავი „ტრიპტიხი“ – მამული, ენა, სარწმუნოება.

რა თქმა უნდა, ჯერ ჩვენი ქვეყანა შორსაა იდეალამდე, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი, რომ სამშობლოსთან დაკავშირებული ყველა ოცნების სრულყოფა მოხდეს, მაგრამ გვჯერა, მამულის უსაზღვრო სიყვარულით, ერთმანეთის გვერდში დგომით, დაუღალავი შრომით, თავდადებით უცილობლად მივაღწევთ საწადელს და ივერია გაბრწყინდება!

გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, ძვირფასო მეგობრებო!

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა
ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საფლავი, რომელიც ყველამ უნდა ნახოს

1984 წლის ივლის-აგვისტოში, ხაშურში, გიორგი ჩუბინიშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლები ჩამოვიდნენ. აქ იყვნენ მაშინ ახალგაზრდა მკვლევარები თამაზ დვალი (ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი), გია მარსაგიშვილი (ხელოვნების მუზეუმის კურატორი) და სხვები. ისინი საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის შესაბამისი ტომისათვის (ქართლის რაიონები) აგროვებდნენ მასალას. სტუმრებმა, ცხადია, მუზეუმს მოაკითხეს და მეც, ალექსანდრე ელიაშვილთან ერთად, ვუწევდი მათ მეგზურობას, მათთან ერთად თითქმის მთელი რაიონი შემოვიარეთ. ისევე როგორც ისინი, მეც ჩემთვის კიდევ ერთხელ აღვნუსხავდი და აღვწერდი ძეგლებს, რომლებიც ჯერ კიდევ 70-80 წლების მიჯნაზე მქონდა მოვლილი. არაერთი ახალი ძეგლიც ვნახე, მანამდე ჩემთვის უცნობი. დილით გასულები ხშირად გვიანობამდე, თითქმის დაღამებამდე ვიმყოფებოდით ძეგლებზე... 6 აგვისტოს რამდენიმე სოფელს ვესტუმრეთ. ვიყავით ოსიაურში, ახალსოფელში, სატივეში, გომში, სომანეთში, ვაყაში და ბოლოს აძვისს მივადექით. აძვისი ორია-ზემო და ქვემო.ქართული საისტორიო მწერლობისათვის კი მხოლოდ აძვისია ცნობილი. როგორც ჩანს, მოგვიანებით გაჩნდა „ზემო და ქვემო აძვისი”.

ვახუშტი ბატონიშვილი თავის „აღწერაში” აძვისზე არაფერს ამბობს, თუმცა, რუკაზე დატანილი აქვს. იოანე ბატონიშვილი ალის წყლის ხეობის აღწერისას აფიქსირებს აძვისს, თუმცა, მის დროს (XVIII ს-ის 90-იანი წლები) აქ მოსახლეობა არ ჩანს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ზოგიერთ ისტორიულ დოკუმენტში აძვისი გვხვდება „ძვისი“-ს ფორმით (ქუცნა ამირეჯიბის სიგელი, რუისის სამწყსოს დავთარი და სხვა).

აძვისი ამირეჯიბების მამულია. 1403 წელს იგი,ალის ხეობის სხვა სოფლებთან ერთად, თემურ-ლენგმა ააოხრა. მას ქუცნა ამირეჯიბი სწირავს ახლადაღდგენილ ულუმბის ღვთისმშობლის ეკლესიას.

ალექსანდრე დიდის (1412-1442) სიგელის მიხედვით, ულუმბის მონასტრის სასარგებლოდ „აძვს რაც გუთანი გამოვა შეუვალად, ხატს უნდა უმუშაონ. საბატონო არა არის-რა და ღალაც ხატის არის. და გარდა მისს შვიდს კომლს, ორს ათ-ათი კოკა ღვინო და ხუთს კომლს რვა-რვა კოკა ღვინო და ორი ზურგიელი”.

რუისის სამწყსოს აღწერის 1715 წლის დავთარში აძვისიდან 10 კომლია შეტანილი (ციმანკურიძე, მჭედელი, ღვინიაშვილი (4), ხიკრაძე, ძაღლიბანაშვილი, გუნაშვილი, ლაზარეშვილი).

1865 წლის აღწერით, აძვისში 24 კომლი მოსახლეა (2 სახელმწიფო, 14 საეკლესიო და 8 დროებით ვალდებული გლეხი).

1886 წლის აღწერით, აძვისში 19 კომლი მოსახლეა (46 კაცი და 22 ქალი, სულ 68 კაცი). ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით, მოსახლეობა მთლიანად ქართულია.

აქ სახლობენ გვარები: არჩვაძე, გაჩეჩილაძე, გეგელაშვილი, შველიძე, ჯავახიშვილი, ხაჩიძე... აძვისი იმ ტიპის სადაურობის

(დასასრული II გვერდზე)



- პოზიცია -

მრავალპარტიული პარლამენტი იგივეა, რაც მრავალყურიანი ქოთანი

არ ვიცი, რამდენ ერთეულს ეწოდება „მრავალი“, მაგრამ ის კი ვიცი, რომ მისი ზედა ზღვარი არავის დაუწესებია. თუ შვილების რაოდენობით ოჯახს ვუწოდებთ „მრავალშვილიანს“, აქ მრავლად მიიჩნევა სამზე მეტი შვილი, მაგრამ თუ წარმოვიდეგნთ მრავალვარსკვლავიან ცას, მაშინ მისი ქვედა ზღვარის განსაზღვრა წარმოუდგენელია.

ხშირად მიფიქრია, რამდენი ყური შეიძლება ჰქონდეს ქოთანს, რომელთაგანაც თითოეულს ექნება თავისი ფუნქციური დატვირთვა და რამდენი პარტია შეიძლება იყოს პარლამენტში, რომელთაგანაც თითოეულს ცალ-ცალკე შეეძლება ქვეყნის მართვა-გამგეობის მიმართულებების შემუშავება-დაკანონება-შესრულება.

პასუხი ასე წარმომიდგენია: როგორც ქოთანს არ ესაჭიროება მრავალი ყური, ისე პარლამენტის შემადგენლობას არ ესაჭიროება მრავალი პარტია.

ცალყურა ქოთანს, რომ ორყურა ჯობია, ეს აშკარაა, მაგრამ არის თუ არა საჭირო მასზე ათეულობით ყურის მიმაგრება, ეს ჩასაფიქრებელია. ერთპარტიულ პარლამენტს რომ მრავალპარტიული ჯობია, ესეც აშკარაა, მაგრამ მაინც რამდენი პარტიაა საჭირო ქვეყნის განვითარების სწორი გზის გამონახვისა და წარმართვისათვის?

ჩვენ რომ მსოფლიოში არსებულ დემოკრატიულ ქვეყნებს ვბაძავთ და ვეტმასნებით, ვინმე ითვალისწინებს, თუ რამდენი პარტია იღებს მონაწილეობას არჩევნებში?

საქართველოში თურმე 220-ზე მეტი პარტია და პოლიტიკური მოძრაობაა ჩამოყალიბებული, ანუ ერთ ქოთანზე მოდის 220-ზე მეტი ყური.

ბედნიერი მაშინ ვიქნებოდი, თუ ქვეყნის მართვა-გამგეობის საკვანძო თანამდებობებზე 220-ზე მეტ გულანთებულ ქართველ პატრიოტს ვიხილავდი, რომელთა მიზანი ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა და მათი დამარცხება კი არა, ხელიხელჩაკიდებულად ქვეყნის განვითარება და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნვა იქნებოდა.

არც ძალიან უწიგნური კაცი ვარ, მაგრამ ვერ წარმომიდგენია ქვეყნის განვითარების 220 მიმართულება, რომელთაგანც თითოეული პარტია თითოეულს წარმოგვიდგენდა, როგორც პრიორიტეტს და სასიცოცხლოდ აუცილებელს.

საპარლამენტო არჩევნებამდე საკმაო დრო დარჩენილი. ამ დროში ბევრი აზრი დაიბადება და გაქრება. ჩემი მოქალაქეობრივი მრწამსი და კონსტიტუციით მონიჭებული უფლება მკარნახობს, გამოვთქვა მოსაზრებანი ზოგიერთი საკითხის ირგვლივ.

მაგალითად: არსებული კანონის თანახმად, პარლამენტში მანდატის მოსაპოვებლად საჭიროა პარტიამ გადალახოს 5%-იანი ზღვარი. თეორიულად დასაშვებია, რომ ასეთ შემთხვევაში პარლამენტში აღმოჩნდება ათობით პარტია, ანუ ქოთანს მიემაგრება ათობით ყური. პარლამენტის გარეთ დარჩენილ პაჭა-პუჭა პარტიები ყურებს გამოგვიჭედენ იმის ძახილით, რომ არჩევნების შედეგები გაყალბდა.

ახლა მიბრძანეთ:

1. გვჭირდება თუ არა მრავალათეულყურიანი ქოთანი და 150 პარტიის თითო წარმომადგენელი პარლამენტში?

2. ჩვენი პარლამენტის მუშაობის კულტურის გათვალისწინებით, რამდენად შესაძლებელი იქნება კანონპროექტის განხილვის შემდეგ, საკითხის შეჯერება და მისი მიღება-დამტკიცებისას კონსენსუსის მიღწევა თუ გაჯიუტებული პოპულისტები განსხვავებულ აზრს არ შეიცვლიან?

3. თუ პარლამენტი რამდენიმე ათეული პარტიის წარმომადგენლობით დაკომპლექტდება, ის დემოკრატიული იქნება თუ ანარქიული?

4. ათეულობით პარტიის წარმომადგენლიანი პარლამენტი, შეძლებს თუ არა ჩარჩოებში მოაქციოს ადამიანთა უფლებები და თავისუფლებები თუ აღვირახსნილობათა შეუზღუდაობით ხელს შეუწყობს ქართული ტრადიციების შევიწროებას?

თავისუფლების ზნეობრივ ჩარჩოებში მოქცევა დიქტატურად არ უნდა ჩაითვალოს. თავისუფალი მხოლოდ გიჟია და თუ ის ქცევის ზომიერ ნორმებს გადააჭარბებს, მასაც კი ცალკე გისოსიან ოთახში ათავსებენ.

ზედმეტმა დემოკრატობანამ რომ არ გაგვიტაცოს, საჭიროა დადგინდეს, რომ პარლამენტი დაკომპლექტდეს სამი ძირითადი ძალის წარმომადგენლებით. ესენი უნდა იყვნენ: ხალხის მიერ არჩეული მმართველი ძალა, რომლის წევრებსაც უნდა ეკავოთ საკვანძო თანამდებობები, მეორე ძალას უნდა წარმოადგენდეს ზომიერი და არა მტრულად განწყობილი ოპოზიცია, მესამე ძალა უნდა იყოს ნეიტრალური, რომელსაც შეეძლება საკამათო საკითხების სასწორის პინა ისე დაარეგულიროს, რომ მოქალაქენი არ აღმოჩნდნენ აგრესიულად დაპირისპირებულები. ვაი, რომ ჩვენს ხალხს პოლიტიკური ბრძოლის კულტურა აკლია.

რაც შეეხება პარლამენტს მიღმა დარჩენილ პარტიებს, მათთან დამოკიდებულება უნდა იყოს საქმიანი, შეხვედრები უნდა ხდებოდეს პერიოდულად. ხელისუფლებამ მათ რიგებში მარტო დაბოღმილი კი არა, გაწონასწორებული ადამიანებიც უნდა შენიშნოს და გამოიყენოს მათი შესაძლებლობანი.

არასოდეს ვყოფილვარ დიქტატორული მიმდინარეობის პატივისმცემელი, მაგრამ არც არასოდეს აღმაფრთოვანებდა ისეთი დემოკრატია, რომელსაც შეუძლია პროცესები უმართაობაში გადაზარდოს.

არ შემიძლია, აღტაცებით მივიღო ისეთი თავისუფალი და დემოკრატიული აზრი, როცა ხუთკაციან საინიციატივო ჯგუფს შეუძლია ქალაქის მერობის კანდიდატის წარდგენა. აქ თითქოს ცუდი არაფერია, მაგრამ წარმოიდგინეთ, ერთმილიონიან ქალაქში შესაძლებელია მივიღოთ მერობის 200 ათასი კანდიდატი, ან ყოველ ექვსსულიან ოჯახში თითო, ან ერთ საცხოვრებელ კორპუსში 100 კანდიდატი. ახლა გაითვალისწინეთ, ის პროცედურები, რაც თან სდევს პროცესს მერობის კანდიდატის შერჩევიდან არჩევნების შედეგების ხმების დათვლის ბოლომდე.

რაც შეეხება დღეს მოქმედ პარლამენტს, მასში წარმოდგენილია პოლიტიკური სპექტრის მრავალფეროვნება, მაგრამ ისე მიილევა მათი რწმუნების ვადა, რომ ბევრი რამე გადასაწყვეტი დარჩებათ, თუმცა, ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტა დიდ სირთულეებს არ წარმოადგენდა.

შევეხები მხოლოდ რამდენიმე საკითხს:

1. არ გადაწყდა ხელფასებისა და პრემია-დანამატების დარეგულირების საკითხი;

2. არ შემუშავდა ობიექტური საპენსიო უზრუნველყოფის საკითხი და დღემდე ერთნაირ პენსიას იღებს სამშობლოს წინაშე დიდი და მცირე დამსახურების მოქალაქე, ქვეყნის აღმშენებელიც და დამანგრეველიც.

3. ბევრს ლაპარაკობენ ქამრების შემოჭერის, სამთავრობო სტრუქტურების რეორგანიზაცია-ოპტიმიზაციის შესახებ, მაგრამ დღემდე არსებობენ ისეთი სამინისტროები, რომელთა ფუნქციებიც დუბლირებულია და დაკავშირებულია ბიუჯეტის ზედმეტად ხარჯვასთან. სამაგალითოდ, საგარეო საქმეთა სამინისტროც გამოდგება. თუ ამ სამინისტროს ქოთნად წარმოვიდგენთ, მასზე ყურების სახით დავინახავთ კიდევ ოთხ მიმაგრებულ სამინისტროს, როგორიცაა: დიასპორის, შერიგების, ევროინტეგრაციის და ლტოლვილთა საკითხების სამინისტროები.

ჩემი აზრით, სრულიად შესაძლებელია ხსენებული სამინისტროების შეყვანა დეპარტამენტების სტატუსით საგარეო საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში.

არ მინდა, ჩემი ეს წერილი კრიტიკული გამოვიდეს დღევანდელი ხელისუფლების მიმართ, თუმცა, მაინც ვიტყვი, რომ ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტა პარლამენტს ერთი ხელის დაკვრით შეეძლო, მაგრამ არ ან ვერ გააკეთა. მაგალითად: განა დიდ სირთულეს წარმოადგენდა მოქალაქეთა მიღების დღის დაწესება? ანდა რა უშლიდა ხელს, რომ უდირსი დეპუტატების უკან გაწვევის წესი აღედგინათ? რატომ უნდა გვიშლიდნენ ნერვებს ოთხი წლის განმავლობაში ისეთი დეპუტატები, რომელთა ხმებიც ხელს უწყობენ სახელმწიფოს, ოჯახის, პიროვნების ღირსების შელახვას ქვეყნის შიგნით თუ გარეთ. გადაგვარებული ადამიანების თავგამოდებით დაცვა ხელს უწყობს უმსგავსოებათა გავრცელებას. განა რამდენ ხანს შეიძლება მსჯელობა და ნერვების შლა კონსტიტუციაში ოჯახის საფუძვლების არსის დაფიქსირებაზე? ამ საკითხზე მსჯელობამ ხომ ყველას ნამდვილი სახე წარმოაჩინა.

თუ არაფერს შევზღუდავთ, მალე ფსევდოდემოკრატები ალბათ პარლამენტში პედარასტებისა და ლესბოსელების ფრაქციის ჩამოყალიბებას მოითხოვენ. ამას გააკეთებენ უმცირესობის უფლება-თავისუფლების დაცვის მოტივით.

სახელმწიფომ, როგორც საზოგადოების მართვის პოლიტიკურმა ორგანომ, რომლის ხელშიცაა ხელისუფლების უმაღლესი სადავეები, უნდა უზრუნველყოს მოქალაქეთა დაცვა უარყოფითი ზეგავლენისაგან, ამ მიზნით, ზომიერი კონტროლი უნდა განახორციელოს ქვეყნის შიგნით არსებულ ყველა რგოლზე.

მედიის სრულმა გათავისუფლებამ, მრავალი უმსგავსოება წარმოქმნა. გარდა იმისა, რომ მათ არაფერი კარგი არ უნდათ დაინახონ, რაც სახელმწიფოში კეთდება და გადასული არიან მხოლოდ ხელისუფლების წრეგადასულ კრიტიკაზე, ცდილობენ მოქალაქეთა მორალისა და ზნეობის შერყევას. მაგალითად: ბიკინების და ბარკლების საკონკურსო დემონსტრაციებიდან უკვე გადავიდნენ ქალთა მკერდების დემონსტრაციაზე. ძუძუს კიბოთი დაავადებულთა ვითომც დასახმარებლად, ორგანიზაცია გაუკეთეს დიდ და ვითომც ლამაზმკერდიანი ქალების ძუძუების საჩვენებელ კონკურსს, ავადმყოფმა ქალებმა კი ასეთ შეურაცხმყოფელ დახმარებაზე უარი განაცხადეს.

თავისუფლების მედროშე ენაწატლეკილი, გარყვნილების ბუდიდან დაფინანსებული სინდის-ნამუსგამორეცხილი მოქალაქენი იტყვიან: რა არის აქ ცუდი? მოქალაქე თავისუფალია და ტავისი ლამაზი სხეულის დემონსტრირება რატომაც არ უნდა გააკეთოსო.

ვაი, თქვენს პატრონს!

თუ ასეა, უზნეოებს ვუსვამ კითხვას: რატომ უნდა შეილახოს და შეიზღუდოს მამაკაცთა უფლებები, რომლებსაც პროსტატიტის დაავადება აწუხებთ და ხომ არ მოვიფიქროთ, როგორ გამოფინონ მამაკაცებმა ფოთოლასაფარებელი ადგილები ავადმყოფთა დასახმარებლად ფულის შეგროვების მიზნით?

ან კიდევ, ასეთი საკითხი: არსებობენ ისეთი დაავადებები, რომელიც ემართებათ როგორც ქალებს, ისე კაცებს. ასეთია, მაგალითად ბუასილი.

თუ ყველაფერი შესაძლებელი და შეუზღუდავია, ხომ არ აჯობებდა ერთდროულად და ერთობლივად გამოეჩინათ ორივე სქესის მოქალაქეებს ის ადგილები, სადაც ეს დაავადება იჩენს თავს? თუ ყველაფერს ფულით განვსაზღვრავთ, ეს საკმაოდ შემოსავლიან წყაროდ უნდა მივიჩნიოთ, თქვენთვის ხომ სულერთია როგორი გზით მოიპოვებთ მას, თქვენ ხომ ფულის გარდა ყველა და ყველაფერი ფეხებზე გკიდიათ?

ვაი, თქვენს პატრონს!

ახლა ისევ პარლამენტს დავუბრუნდეთ.

ნუთუ ძნელია, რომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა განწყობები ჩვენვე შევისწავლოთ და არ მივცეთ

(დასასრული III გვერდზე)

საფლავი, რომელიც ყველამ უნდა ნახოს

(დასასრული)

(გეოგრაფიული) სახელია, რომელიც -ის სუფიქსით იწარმოება, (მაგალითად: ნიჩბისი, ნუნისი, თბილისი, ქუთაისი და ა.შ.).

გორის რაიონში არის სოფელი აძვი, ხოლო ცხინვალის რაიონში – აძვისთავი.

აძვისში ორი ეკლესიაა: წმინდა სამების - ზემო აძვისში და ღვთისმშობლისა – ქვემო აძვისში.

წმ. სამების ეკლესიაზე თითქმის აღარაფერია შემორჩენილი. გეგმაც არ იკითხებოდა. მხოლოდ აბსიდის ადგილზე ჩანდა ნანგრევების კვალი. მის ირგვლივ მინდორია, სამხრეთისკენ კი მუხნარი იწყება. ეკლესია ქვემო და ზემო აძვისს შორის, მდინარე ჭერათხეულას მარჯვენა სანაპიროზე დგას.

რაც შეეხება ღვთისმშობლის ეკლესიას, იგი უკეთეს მდგომარეობაშია. თუმცა, აქაც ჩამონგრეულია კამარა, კონქის ნაწილი და სამხრეთის კედლის დიდი მონაკვეთი. ეკლესია დარბაზული ტიპის ნაგებობაა გამოყენებულია უხეშად დამუშავებული ქვიშაქვა. სტილისტური ნიშნების მიხედვით, ეკლესიას სტუმრები გვიანდელი ფეოდალური ხანით ათარიღებენ. მოგვიანებით, აძვისელი ბახვა გელაშვილის თაოსნობით, გაიწმინდა ეკლესია და ჩაუტარდა რესტავრაცია. გაწმენდის დროს გამოჩნდა „სოკოლი", რომელზეც დგას ეკლესია.

ეკლესიის აღწერილობას რომ მოვრჩით, დრო ვიხელთე და მის ირგვლივ მოწყობილი საფლავების დათვალიერებას შევუდექი. ეკლესიის აღმოსავლეთით ერთმა საფლავის ქვამ მიიპყრო ჩემი ყურადღება.

ვუახლოვდები... ინტერესით ვათვალიერებ... ვკითხულობ საფლავის ქვის ჩრდილოეთ მხარეს ჩასმულ თეთრი მარმარილოს მომცრო ფილაზე ამოკვეთილ წარწერას:

„მონობაში ტანჯულო, დაუვიწყარო მამავ!
შენი ნატვრა აღსრულდა, საქართველო განთავისუფლდა!"

კიდევ ერთხელ ვკითხულობ წარწერას, ხომ არაფერი მეშლება?! ნამდვილად ასე წერია: „შენი ნატვრა აღსრულდა, საქართველო განთავისუფლდა!"

ნამდვილად ეს სიტყვებია ამოტვიფრული მარმარილოს ფილაზე.

„საქართველო განთავისუფლდა .. " საოცარი განცდა მეუფლება, რაღაც უჩვეულო გრძნობამ დამიარა მთელს სხეულში.

ვინ განისვენებს აქ, ვის საფლავთან ვიმყოფები? ვინ არის ის ღირსეული მამა, რომლის ასევე ღირსეულმა შვილებმა მამის საფლავს ასეთი მრავლისმეტყველი წარწერა გაუკეთეს? საფლავის ქვის აღმოსავლეთ მხარეს ამოკვეთილია წარწერა რომელსაც უფრო გაფაციცებით ვკითხულობ: „დავით ნიკოლოზის ძე კაპანაძე, დაიბადა 1846 წლის აპრილის 25-ს. გარდაიცვალა 1918 წლის 25 მაისს".

უფრო მეტად მეუფლება საოცარი განცდა...რას ნიშნავს ყოველივეს? თანდათან ყველაფერი ნათელი ხდება, გარდაცვალების თარიღს სიცხადე შეაქვს მარმარილოს დაფაზე გაკეთებული წარწერის შინაარსში:

26 მაისს საქართველო გამოცხადდა დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკად, აღსდგა საქართველოს სახელმწიფოებრიობა. დავით კაპანაძე კი 25 მაისს, ერთი დღით ადრე გავიდა ამ ქვეყნიდან და ვერ მოესწრო თავისი დიდი ხნის ნატვრის ასრულებას, ენახა თავისუფალი, დამოუკიდებელი სამშობლო.

„შენი ნატვრა აღსრულდა, საქართველო განთავისუფლდა!"

როცა ამ წარწერას კითხულობ, გავიწყდება, რომ 1984 წელია, ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლებაა.

მართალია, 80-იანი წლები დიდად განსხვავდებოდა 20-იანი წლებისაგან, მაგრამ მაინც გიკვირს, როგორ გადარჩა ეს საფლავის ქვა თავის წარწერით, რომ არ გაანადგურეს...ათეული წლები ხომ ჩვენი მეხსიერებიდან შლიდდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის სამწლიან პერიოდს.

უფრო მეტად ის გაოცებს, თუ როგორ ძლიერი უნდა ყოფილიყო დავით კაპანაძეში სამშობლოს დამოუკიდებლობის სურვილი რომ მის შვილებს მისი საფლავის ქვაზე ასეთი წარწერა გაეკეთებინათ.

ღირსეულ მამას, მართლაც რომ მასსავით ღირსეული შვილებიც ჰყოლია, -უნებურად აკეთებ დასკვნას.

ეს, მართლაც, მრავლიმეტყველი წარწერაა გლეხკაცის საფლავზე გაკეთებული, რომელშიც მთელი ერის 117-წლიანი ნატვრაა გაცხადებული.

ალბათ, იშვიათად შეხვდებით საქართველოს დამოუკიდებლობისადმი იმ წლებში ქართველი ხალხის ნებისა და მიზნის, თუ გნებავთ, სურვილის, ნატვრის ასეთ, ერთმნიშვნელოვან განცდას. დავით კაპანაძე ცნობილი მოხევის ლელთ ღუნიას სულიერი მემკვიდრეა.

„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს", - ათქმევინებს მას დიდი ილია.

„შენი ნატვრა აღსრულდა, საქართველო განთავისუფლდა," ეხმიანებიან დავით კაპანაძის შვილები ლელთ ღუნიას მამის საფლავზე გაკეთებული წარწერით .. 80-იანი წლების ბოლოს, როცა ეროვნულ-განმანთავისუფლებელმა მოძრაობამ მოიცვა სრულიად საქართველო, დავით კაპანაძის საფლავისა და მასზე გაკეთებული წარწერის სურათმა არაერთი გაზეთის ფურცელზე ჰპოვა ადგილი... ოცდათორმეტი წელი გავიდა მას შემდეგ. ყოველ 26 მაისს, თანამოაზრეებთან ერთად, მივდივარ დავით კაპანაძის საფლავთან. მასთან მიახლების დროს პირველი ნახვის დროინდელი განცდა მეუფლება და მისსივე შვილების სიტყვებით ვეხმიანები:

„შენი ნატვრა აღსრულდა, საქართველო განთავისუფლდა!".

თამაზ ლაცაბიძე

მრავალპარტიული პარლამენტი იგივეა, რაც მრავალყურიანი ქოთანი

(დასასრული)

გადამთიელებს იმის საშუალება, რომ თვალებში ნაცარი გვაყარონ და ისედაც გაღიზიანებულებს ერთმანეთი შეგვაჭმევინონ?

სამუშაო კაბინეტებში ჩატარებული გამოკითხვები, რომ ნამდვილ სურათს არ ასახავს, ეს ვინმესთვის საეჭვოა?

მე რომ საშუალება მქონდეს, ნებისმიერ საკითხზე გამოკვლევებს ჩავატარებდი ასე: დავამზადებდი რამდენიმე ათეულ მსუბუქ, გასაშლელ, მოძრავ შირმისებურ ჯიხურს, რომელშიც მოვათავსებდი სკამს, მაგიდას და საარჩევნო ყუთის ანალოგიურ ყუთს და, რა თქმა უნდა, დავბეჭდავდი კითხვარებს.

მოქალაქეთათვის სრულიად მოულოდნელ დღეს, დროს და ადგილზე გავშლიდი ჯიხურებს და ორგანიზებას გავუწევდი გამოკითხვის პროცედურას, ბოლოს კი ადგილზე მყოფ თავისუფალი დროის მქონე შემთხვევით იქ აღმოჩენილ მოქალაქეებს ვთხოვდი დაეთვალათ და წარმოედგინათ შედეგები. ამ საქმიანობისათვის მათ გადავუხდიდი იმის მეათასედ თანხას, რაც ჯდება წინასწარ დაპროგრამებული ფალსიფიკატორების შენახვა.

აწყობთ კი სინამდვილის თვალებში ჩახედვა ქვეყანაში არეულობის გამოწვევის მოსურნეებს?



პარლამენტს დიდი ხანია თვალებში უნდა ჩაეხედა და ნიღაბი აეხადა ერთადგილდამწვარი ადამიანებისთვის, რომლებიც ცდილობენ მოქალაქეთა უფლებების დაცვის ქადაგების იმიტაციით განაიარაღონ სახელმწიფოს უშიშროება და სხვა ოპერატიული ორგანოები, რომლის ძირითად ფუნქციას სახელმწიფოსა და მოქალაქეთა დანაშაულებრივი ზემოქმედებიდან დაცვა წარმოადგენს.

ამ ვაიპატრიოტების ძირითადი მიზანია სახელმწიფოს ოპერატიული სამსახურების განიარაღება ფარული თვალთვალისა და მოსმენების უფლების შეზღუდვით. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ სახალხოდ ხელმისაწვდომი გახადეს ოპერატიულად

გამოსაყენებელი ადგილების მინიშნება. ეს ვაიპატრიოტები ყველაზე მეტს ღრიალებენ ზოგიერთ დანაშაულთა გაუხსნელობის შესახებ და უშვერი სიტყვებით ლანძღავენ იმ მთავრობას, რომელსაც მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა ნდობა გამოუცხადა.

პარლამენტის მრავალხმიანობისა და ქოთნის მრავალყურიანობის შედეგია ვეტერანთა საკითხების დაურეგულირებლობა და მათ მიმართ არასათანადო დამოკიდებულება. ყურიდან ყურში გადის ღაღადი, რომ დღევანდელ ვეტერანებთან დამოკიდებულება ყველაფერზე მეტად ღირებულია ახალგაზრდა თაობის პატრიოტულად აღზრდის საქმეში. დღევანდელი მეომარი თავისი ცხოვრების ხვალინდელ დღეს უნდა ხედავდეს. თუ მას ექნება განცდა, რომ ის ხვალ არავის დასჭირდება, დღეს სიცოცხლეს არ გაწირავს.

ყველა სკამოსანი ცდილობს, სათავისოდ გამოიყენოს და საკუთარ ინტერესებს მოარგოს ნებისმიერი სიტუაცია. მათი მთავარი მიზანი ხელისუფლებაში მოსვლაა და არა ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა, რისი განხორციელება პარლამენტის გარედანაც შეიძლება.

ახლა საპარლამენტო არჩევნები ახლოვდება, ბევრი მსუბუქი, ქარაფშუტა თავი ამოძვრება და ამოტივტივდება ზედაპირზე და მოინდომებს ნებისმიერ სკამზე დასკუპებას. სამხედრო სარდლობას მოინდომებენ ისეთებიც, რომლებმაც თოფის სროლაც კი არ იციან, სამართლის აღსრულებას მოინდომებენ უსამართლობის მედროშენი, შიმშილით და სიღატაკით მოტირალი ხალხის გაყოლიებას და მათ წინამძღოლობას მოინდომებენ მაძღარი მომღერლები. მახსენდება ისეთი ამბებიც, როცა თავდაჯერებული და თავშეუცნობელი სარდლები სიმღერით მიქრიალებდნენ ბრძოლის ველზე და ტაშისკვრით ბრძოლაში ჩაბმულები წიხლისკვრით ბრუნდებოდნენ შერცხვენილები.

ასეთი ამბის მოწმენი კიდევ მალე გავხდებით.

ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა, ყველამ თავისი საქმე აკეთოს:

_გლეხმა მიწაზე და მუშამ ქარხანაში იმუშაოს;

_მწერალმა წეროს, მკითხველმა იკითხოს;

_მეცნიერმა იკვლიოს და სასიკეთო რამ აღმოაჩინოს;

_მასწავლებელმა მოსწავლეებს სიკეთე ასწავლოს;

_მშენებელმა აშენოს;

_ექიმმა ავადმყოფებს უმკურნალოს;

_თერძმა ჭრას და კეროს;

_მეპურემ პური აცხოს;

_მხატვარმა ხატოს, მომღერალმა იმღეროს;

_ჯადოსნური სკამის დაკავებისათვის მებრძოლებმა გაარკვიონ, მათი პოლიტიკაში მოსვლის თუ სამოღვაწეო ასპარეზიდან წასვლის დრო მოვიდა;

_ყველამ ერთად სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავდადება ვისწავლოთ. მუდამ მზად ვიყოთ მის დასაცავად და უკეთესობისაკენ განვითარებისათვის, მტერმოყვარე შევიცნოთ და საკადრისად მოვექცეთ.

მგონი დადგა დრო, ნაკლები ვიფიქროთ ახალი ველოსიპედის გამოგონებაზე და ქოთანზე 150 ყურის მიმაგრებაზე, ახლა მთავარია მრავალფეროვნება–მრავალპარტიულობამ არ გაგვიტაცოს და პარლამენტში ავირჩიოთ არა ბევრი მოყაყანე და ხმაურიანობა, არამედ ცოტა, კარგი და მშვიდად-შემოქმედნი.

ამისათვის საჭიროა გამოვიყენოთ მაღალი დონის დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილება, ამავე დროს, აუცილებლად მიმაჩნია, რომ მედიაში შეწყდეს უმადურთა ყაყანი და მათი მხრიდან ხელისუფლების დაუმსახურებელი ლანძღვა-გინება, ხელისუფლებისა, რომელმაც ცოტა ხნის განმავლობაში შეძლო ქვეყანაში გაესუფთავებინა პოლიტიკური სივრცის კლიმატი, ადამიანებისათვის დაებრუნებინა ღირსების, თავისუფლების, სამართლიანობის აღდგენის და სოციალურად დაცულობის რწმენა. ალბათ, დროა, ლაგამი ამოედოს სიცრუის მფრქვეველებს და გამომზეურდეს ხელისუფლების მიერ გაკეთებული კეთილი საქმენი.

რევაზ გრიგალაშვილი

აღინიშნა მუზეუმების საერთაშორისო დღე

1997 წლიდან, მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს, ICOM-ის გადაწყვეტილებით, 18 მაისი- მუზეუმების საერთაშორისო დღე, საზეიმოდ აღინიშნება მთელ მსოფლიოში. ღონისძიების მთავარი მიზანი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მუზეუმების მნიშვნელობის წარმოჩენაა, როგორც პლატფორმის, რომელიც კულტურული ცხოვრების გამდიდრებას, ხალხთა

შორის კომუნიკაციას, კულტურათა გაცვლას და მშვიდობიანი საზოგადოების ფორმირებას უწყობს ხელს.

სამუზეუმო კვირეული, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საკონფერენციო დარბაზში, სამუზეუმო გაერთიანების ხელმძღვანელმა-თამაზი ლაცაბიძემ გახსნა. მან მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს გვერდში დგომისთვის და მუზეუმის მნიშვნელობაზე ისაუბრა. დამსწრე საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ სულ მალე გამოიცემა კრებული „სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ“. წიგნი მუზეუმის თანამშრომლების კოლექტიური ნაშრომია და შიგ თავმოყრილია ამბები ხაშურზე. ასევე გამოსაცემადაა გამზადებული „ხაშურის რაიონის გზამკვლევი“ და „მძივები“.

ხაშურის სამუზეუმო გაერთიანებას კვირის განმავლობაში მრავალფეროვანი ღონისძიებები ჰქონდა დაგეგმილი, რომლებიც 21 მაისს, კონცერტით და ფეიერვერკით დასრულდა.

მიზანი: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება

საერთაშორისო ორგანიზაცია "მერსი ქორპსი" და მისის პარტნიორი ორგანიზაცია – საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი – ევროპის სამეზობლო პროგრამის ფარგლებში, რომლის მიზანია საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება, სამიზნე მუნიციპალიტეტებში კოოპერატივების წარმომადგენლების და სასოფლო-სამეურნეო სერვისის მიმწოდებლებისთვის, ერთობლივ შეხვედრებს ატარებს. ასეთი შეხვედრა ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ფერმერებსა და სერვისის მიმწოდებლებს შორისაც შედგა. რომლის მიზანიც იყო კოოპერატივებს და სასოფლო-სამეურეო მიმწოდებლებს მიეცეთ საშუალება შეხვდნენ ერთმანეთს, მიიღონ და გაცვალონ ინფორმაცია მათი საქმიანობის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს მათ შორის კომერციული ურთიერთობის ჩამოყალიბებას და გამყარებას. მსგავსი სახის ბიზნესთანამშრომლობის დანერგვა ხელს შეუწყობს

მუნიციპალიტეტში დარგის განვითარებას, ხოლო კოოპერატივებს და სასოფლო-სამეურნეო სერვისის მიმწოდებლებს და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შესაძლებლობა ექნებათ ერთობლივად განიხილონ დარგში არსებული სირთულეები, გამოწვევები და იპოვონ პრობლემის გადაჭრის გზები.

<u>- სპეციალისტის რეკომენდაციები -</u>

მეფუტკრის რჩევები

ჩვენი გაზეთის მკითხველთათვის საინტერესო იქნება სოფლის მეურნეობის ისეთ დარგზე საუბარი, როგორიც არის მეფუტკრეობა, დიდი სურვილი მაქვს ჩემი მცირედი გამოცდილება გავუზიარო ყველა იმ ადამიანს, რომელსაც სურვილი ექნება უფრო ახლოს გაეცნოს ბუნების პატარა საოცარ არსებას–ფუტკარს.

პირველ რიგში, ნებისმიერ კითხვაზე, რომელიც დაგებადებათ შეგიძლიათ მომწეროთ მისამართზე giorgijeladze@mail.ru ან დამიკავშირდეთ ტელეფონზე 555988778. დასავლეთ საქართველოში მეფუტკრე ფერმერები სისტემატურად იკრიბებიან, რათა თავიანთი გამოცდილება ერთმანეთს გაუზიარონ და

ნებისმიერი პრობლემა, რომელიც მეფუტკრეობაში გამოჩნდება, ერთობლივი ძალით გადაჭრან, კარგი იქნება თუ მათ გამოცდილებას გავიზიარებთ და მოვახდენთ ჩვენი რეგიონის მეფუტკრეების ერთმანეთთან დაკავშირებას.

ფუტკარი დედამიწის გაცილებით ადრეული ბინადარია, ვიდრე ადამიანი, მას, როგორც ბიოლოგიურ ინდივიდს, გამოვლილი აქვს უამრავი კლიმატური თუ სხვა ცვლილებები დედამიწის ისტორიაში. მიუხედავად ამისა, ადამიანმა შესწორებები შეიტანა მის ცხოვრებაში და ამუშავებს და აცხოვრებს ფუტკარს, ისე, როგორც მას მიაჩნია საჭიროდ. ამ ჩარევის შედეგი სავალალოა– ფუტკარი გადაშენების გზას ადგას.

აუცილებელია ყველა მეფუტკრემდე მიაღწიოს ინფორმაციამ ფუტკრის მოვლის ჯანსაღი გამოცდილების შესახებ. ასევე შეიქმნას ფუტკრის მოვლის ალტერნატიული წესის და პრაქტიკის გაზიარების საშუალება.

ფუტკარი ერთადერთი ცოცხალი არსებაა, რომელიც აბსოლუტურად ყველაფრით სასარგებლოა.იგი ცხოვრობს არა რაიმეს ან ვინმეს ხარჯზე, არამედ იკვებება ყვავილის ნექტრით და მტვრით, ხოლო სანაცვლოდ ახდენს დამტვერიანებას, რის გარეშეც ყვავილი უნაყოფოდ დარჩებოდა. ფუტკარი არანაირად არ ავნებს გარემოს. ფუტკრის ყველა პროდუქტს, გამონაკლისის გარეშე, გააჩნია საკვები და სამკურნალო თვისებები.მისი საშინელი შხამიც კი - ეფექტური წამალია.სიკვდილის მერეც კი სასარგებლოა ფუტკარი, რადგან მისი სხეულიდან მზადდება წამალი.ფუტკრის ძირითად მტერს, ცვილის ჩრჩილსაც კი გააჩნია სამკურნალო თვისებები. ქართული ფუტკარი თავისი დადებითი თვისებებით მსოფლიოში აღიარებულ ფუტკრად ითვლება. იგი ძველ და ამჟამინდელ ლიტერატურულ წყაროებში მოხსენიებულია კავკასიური ფუტკრის სახელწოდებით. ქართული ფუტკრის შესწავლა იწყება მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც საქართველო ჯერ კიდევ ადმინისტრაციულად კავკასიაში შედიოდა. ამჟამად კავკასიურ ფუტკარში იგულისხმება ქართული ფუტკარი. არსებობს უამრავი ლიტერატურა სადაც ნებისმიერი მსურველი გაეცნობა ფუტკრის ანატომიას, მეფუტკრეობის ტექნიკას და სკის მოწყობილობას, ამიტომ შევეცდები მარტივად და მოკლედ მოგაწოდოთ ის საკითხები ნაწილობრივ მაინც, რომელიც ფუტკრის მოშენებასთან არის დაკავშირებული. ფუტკრის შეძენის მსურველი, პირველ რიგში, უნდა გაერკვეს, აქვს თუ არა ალერგია ფუტკრის ნაკბენზე(ფუტკრის შხამზე) და ფუტკრის პროდუქტებზე, შემდგომ მინიმალური ცოდნა მიიღოს ფუტკრის შესახებ, სასურველია თუ გვყავს ვინმე მეგობარი - მეფუტკრე, რჩევა დარიგებისთვის, კარგად შეისწავლოს ადგილმდებარეობა (თაფლოვანი მცენარეები) და გამონახოს საფუტკრისათვის საჭირო ადგილი, სკა დავსვათ ისეთ ადგილას, სადაც ქარი არ ხვდება, სასურველია საფრენი სამხრეთით ჰქონდეს. შუადღეზე კი სასურველია ის ხის ჩრდილში მოექცეს და ზედმეტმა ტემპერატურამ არ შეაწუხოს. ფუტკარში შემდგომი მუშაობისთვის დაგვჭირდება და აუცილებლად უნდა შევიძინოთ:

1. საბოლებელი;
2. პირბადე;
3. ასტამი;
4. ფიჭის ასათლელი დანა;
5. სათადარიგო სკები;
6. თაფლის საწური;
7. ხელოვნური ფიჭები და სხვა.

გახსოვდეთ! ნუ ითხოვთ ინვენტარს მეზობელი საფუტკრიდან.

სასურველია ფუტკრის ოჯახი შევიძინოთ ადრე გაზაფხულზე (თებერვალი, მარტი). ამ პერიოდში შეიძლება ფუტკრის მასა ყველა ჩარჩოზე არ იყოს გასული, მაგრამ ამ პერიოდში ფუტკარი ინტენსიურად მრავლდება და შესამოწმებლად ადვილია.

ვამოწმებთ: სკას (ფუტკრის ბინა), ჩარჩოებს (ფერი, ასაკი და სხვა), თაფლისა და ჭეოს მარაგს, დედა ფუტკრის ასაკს (ჯანმრთელობას , მოძრაობას), გადაბეჭდილი და გადაუბეჭდავი ბარტყის მდგომარეობას, აგრეთვე ხომ არ შეინიშნება რამე დაავადება.

ფუტკარი მთელი წლის განმავლობაში არის ინტენსიური მოძრაობის პირობებში. ასევე მეფუტკრეს ფუტკართან აქვს საქმე მთელი წლის განმავლობაში. ძირითადად შეიძლება დაიყოს შემდეგ ეტაპებად: საგაზაფხულო სამუშაოები, ღალიანობის დრო, საშემოდგომო

სამუშაოები და დასაზამთრებლად საჭირო სამუშაოები.

მეფუტკრე დაინტერესებული უნდა იყოს საფუტკრეში რაც შეიძლება ძლიერი და ჯამრთელი ოჯახი ჰყავდეს. ფუტკარში მუშაობის დროს, თუ დაგვეუფლა შიში პირველი დანესტვრის დროს, საჭიროა ნებისყოფა გამოვიჩინოთ და ფუტკარი სხვას არ გადავცეთ მოსავლელად – მეფუტკრეობას სხვის ხელში ყურებით ვერ ისწავლი. მიმაჩნია, რომ მეფუტკრე არ უნდა იყოს კარჩაკეტილი, ის უნდა ამხანაგობდეს მეფუტკრეებთან, შეკითხვებს არ უნდა მოერიდოს - სწავლა ცხოვრების მანძილზე ყოველთვის საჭიროა.

გიორგი ჯელაძე,
კოოპერატივ „ხაშურ-ქარელის“
მეფუტკრე

ახალგაზრდების თვალით დანახული გაეროს გენერალური ასამბლეა

გასულ ნომერში ჩვენს რაიონში მოქმედი ახალგაზრდული საკრებულოს შესახებ მოგიყევით, რომელზედაც თავჯდომარე თათია კახეთელიძემ გვიამბო. მოსწავლეები გეგმავდნენ გაეროს გენერალური ასამბლეის მოდელირებას, რომელიც აბსოლიტურად თანხვედრი იქნებოდა და ნათლად დაგვანახებდა ასამბლეის ფუნქციონირებას და მუშაობის სპეციფიკას. შესაბამისად, ხაშურის I საჯარო სკოლის დარბაზი ერთი დღით ნიჭიერმა, მოტივირებულმა და პერსპექტიულმა ახალგაზრდებმა დაიკავეს, რათა მათ რამდენიმეთვიანი დაუღალავი შრომის შედეგი საზოგადოებისათ-

ვის წარედგინათ.

ახალგაზრდული საკრებულოს წევრებმა სხვადასხვა ქვეყნების დელეგატების როლები მოირგეს და რამდენიმე კომიტეტში გადანაწილდნენ, ესენი იყვნენ: თავდაცვის, ჯანდაცვის, სოციალურ-ეკონომიკური, გარემოს დაცვის და ქალთა შრომითი უფლებების დაცვის კომიტეტები. თითოეულმა მათგანმა კი საკუთარი რეზოლუციები წარადგინეს დასამტკიცებლად. კითხვა-პასუხის რეჟიმი. გენერალური ანსამბლეის სპეციფიკიდან გამომდინარე, პოლემიკა და ცხარე დებატები არ გამართულა, თუმცა, ისინი საკმაოდ მაღალ დონეზე იყვნენ მომზადებულნი და კითხვებიც საინტერესო და აქტუალური იყო. შედეგმა თვალნათლივ დაგვანახა, რომ ბავშვებმა მუშაობის უმაღლესი სტანდატი დააწესეს, საუკეთესო რეზულტატისათვის, ესენი სწორედ ის ახალგაზრდები არიან, რომლებსაც შეგვიძლია ქვეყნის მომავალი ვანდოთ და, რომელთა შრომამ, თავდადებამ ქვეყნა განვითარების უკეთეს ფაზაში გადაიყვანოს.

შეიქმნა 4 კაციანი ჟიური, რომელსაც უნდა გამოევლინა საუკეთესო დელეგატები. ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ: საკრებულოს დეპუტატი ლაშა მესხი, ბიბლიოთეკების გაერთიანების თავჯდომარე მარინე დიდებულიძე, ხაშურის რესურსცენტრის ხელმძღვანელი ზვიად გოგუაძე და პოეტი ეკა ბაქრაძე. ანსამბლეის დასრულების შემდეგ მათ საუკეთესო დელეგატის სტატუსი მიანიჭეს ომარიკო ნიკოლაძეს და გიორგი ყაულაშვილს.

ახალგაზრდული საკრებულოს წევრი, დელეგატი, ნათია რობაქიძე: „ევროკავშირის მოდელირება იყო სამდღიანი პროექტი და სამივე დღე იყო ძალიან საინტერესო და სახალისო. საკმაოდ დამღლელი, მაგრამ შედეგი ამად ღირდა. გამოცდილებისა და ცოდნის მიღება ხდებოდა სიყვარულით სავსე გარემოში, პირადად მე ამ სამი დღის განმავლობაში უდიდესი სითბო მივიღე ჩემი თანატოლებისაგან და შევიძინე უამრავი ახალი მეგობარი".

გენერალურ ასამბლეას ესწრებოდა არასამთვრობო ორგანიზაციის „ადამიანი კანონი, თავისუფლება" აღმასრულებელი დირექტორი ნიკოლოზ მაღალდაძე. სწორედ ამ ორგანიზაციის ინიციატივით განხორციელდა პროექტი „ახალგაზრდული საკრებულო 65 მუნიციპალიტეტში".

ნიკოლოზ მაღალდაძე: „ჩემთვის ხაშურში ვიზიტი არის ყოველთვის გამორჩეული, რამდენადაც მე მხვდება საზოგადოება, რომელიც ყველაზე წარმატებულია იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც შეხვედრა მიწევს. ამ ბავშვების მონდომება, ინტელექტუალური შესაძლებლობები და ყველა მათი ქმედება არის მაღალ ხარისხში შესრულებული და ნამდვილად რთულია მათი სათანადოდ შეფასება. ძალიან დიდი მადლობა ადგილობრივ ხელისუფლებას და ახალგაზრდული საკრებულოს თითოეულ წევრს. ეს პროექტი არის საწყისი იმ მომავალი პროექტებისა, რომლებიც, საერთო ჯამში, უდიდეს შედეგს მოგვიტანს და ხაშურის მუნიციპალიტეტს ვაქცევთ ყველაზე წარმატებულ მუნიციპალიტეტად. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, თუ რა სჭირდება რაიონს განვითარებისათვის, ჩვენ ერთხმად ვთანხმდებით, რომ სწორედ ეს თაობაა ის ძალა, რომელიც მთლიანად შეცვლის მუნიციპალიტეტის ცხოვრებას. ჩემთვის პირადად, უდიდესი წარმატებაა ის, რომ ამ პროექტმა აღმოაჩინა ეს შესანიშნავი ბავშვები".

ახალგაზრდულ საკრებულოებს თანადგომა შესთავაზა არასამთავრობო ორგანიზაციამ „პროგრესული საქართველო", რომლის წარმომადგენლებმაც ბექა სამუშიამ, ნინი გიგინეიშვილმა და თორნიკე ხაჭაპურიძემ დამსწრეებს მიზნების, ამოცანების და სამომავლო საქმიანობის შესახებ ესაუბრეს. "პროგრესული საქართველოს" მიზნები და ამოცანებია: სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა, საზოგადოებაში დემოკრატიული ღირებულებებისა და ფასეულობების დამკვიდრება, ახალგაზრდების უფლებებისა და თავისუფლების დაცვის, მათი ნიჭისა და უნარის განვითარებისა და საზოგადოებაში დამკვიდრების ხელშეწყობა, სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლება, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, სოციალური, სპორტული და კულტურული პროექტების განხორციელება, საქართველოს ერთიანობისა და მთლიანობის, ხალხთა შორის დიალოგის ხელშეწყობა, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და ახალგაზრდების ჩართვა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობაში, თანამშრომლობა სახელმწიფო, სამოქალაქო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ორგანიზაციის თავმჯდომარის, ბექა სამუშიას განცხადებით, დღეს საქართველოსთვის ყველაზე აქტუალური ევროინტეგრაცია და ვიზალიბერალიზაციის მინიჭების საკითხია. მისი თქმით, "პროგრესული საქართველო" იწყებს კამპანიას, სახელწოდებით, "ახალგაზრდები ევროინტეგრაციისთვის", რომელიც ეროპული ღირებულებების უკეთ წარმოჩენასა და ზოგადად, საქართველოს მოქალაქეების ინფორმირებას შეუწყობს ხელს.

პროექტი ნამდვილად წარმატებულად დასრულდა ბავშვებისათვის. დარწმუნებული ვარ, ისინი უკვე ბევრად თავდაჯერებულები იქნებიან, რადგან შეძლეს ასეთ რთულ საქმეს შესჭიდებოდნენ და სრულყოფილი შედეგი დაედოთ. თითოეულის სახეზე კმაყოფილებას ამოიკითხავდით, მათთვის ეს დღე იყო გამარჯვების დღე, საქმის წარმატებულად დაძლევის დღე.

თ. ახალკაცი

კვართისის გორას ფიჭვნარის ახალი კორომი შეემატა

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშვილი დაბა სურამში იმყოფებოდა, სადაც ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის ინიციატივით, გამწვანების აქცია გაიმართა.

ამაღლების ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე, 2 ჰა მიწის ფართობზე 500-მდე წიწვოვანი სახეობის ნერგი დაირგო.

აღსანიშნავია, რომ აქციის ორგანიზატორები შეეცადნენ გამწვანებაში საზოგადოების, რაც შეიძლება ფართო ნაწილი ჩართულიყო. ხაშურის საკრებულოსა და გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად, აქ იყვნენ ხაშურის სატყეო მეურნეობის თანამშრომლები, საგანმანათლებლო რესურსცენტრის, სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო სამსახურის წარმომადგენლები, სურამისა და ხაშურის ეპარქიის მმართველი მეუფე სვიმეონი და მრევლი, აგრეთვე, საჯარო სკოლების მოსწავლეები.

- ის ლანდშაფტი, რომელიც ყველას იზიდავს, როგორც ადგილობრივ მაცხოვრებელს, ისე დამსვენებლებს, აღსანიშნავია, რომ ხელოვნურად არის გაშენებული. დაიგეგმა სამომავლო გეგმები, რადგან არის საკმაოდ დიდი პოტენციალი სურამის გამწვანების კუთხით. -აღნიშნა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა.

ამ ისტორიული გორის, რომელსაც მოსახლეობა „კვართისის გორას" ეძახის, დასავლეთ მხარეზე დიდი მამულიშვილის მიხეილ მურვანიშვილის მიერ, გასული საუკუნის ორმოციან წლებში გაშენებული ფიჭვნარია. ახალი ნერგები 10-12 წელიწადში ერთიან ფიჭვნარს შექმნიან და მართლაც ულამაზეს გარემოს მივიღებთ, რომლის გვირგვინი იყო და იქნება გორის წვერზე მდგარი მაცხოვრის ამაღლების სახელობის ეკლესია, რომელშიც მოღვაწე დედების ლოცვა-ვედრება მადლად ეფინება მთელს სურამს და სრულიად საქართველოს.

შეხვედრა რაგბის ფედერაციის პრეზიდენტთან

ჩვენს მუნიციპალიტეტში რომ რაგბის ბუმია, არაერთხელ აღგვინიშნავს. სპორტის ეს ულამაზესი და მართლაც ვაჟკაცური სახეობა სულ უფრო პოპულარული ხდება ხაშურში და ჩვენი გუნდები სულ უფრო ანგარიშგასაწევ ძალად ყალიბდება მთელი ქვეყნის მასშტაბით. მუნიციპალიტეტის გამგეობა

ყველანაირად უწყობს ხელს რაგბის განვითარებას, იქნება ახალგაზრდული გუნდების სხვადასხვა ჩემპიონატებში მონაწილეობის ფინანსური უზრუნველყოფა თუ მათი ეკიპირება. ამ დღეებში საქართველოს რაგბის ფედერაციის პრეზიდენტის გოჩა სვანიძის ხაშურში სტუმრობაც იმ მიზანს ემსახურებოდა, რომ რაგბის განვითარების ხელშეწყობა კიდევ უფრო გაიზარდოს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასპაშვილმა, რაგბის ფედერაციის პრეზიდენტმა და სპეციალისტებმა ერთობლივად იმსჯელეს იმ ღონისძიებების შესახებ, რაც რაგბის პოპულარობას და საერთო დონეს კიდევ უფრო აამაღლებს. საუბარი შეეხო სარაგბო სტადიონის მშენებლობას და სურამის სტადიონის რეკონსტრუქციას. უპირველესი ეტაპი კი მათი პროექტირება იქნება, რაც თავის თავზე ფედერაციამ იტვირთა. როგორც მუნიციპალიტეტის გამგებელმა განაცხადა, პირველ ეტაპზე, თანადაფინანსების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი გამონახავს სახსრებს, რომ დროულად მოხდეს სურამის სტადიონის რეკონსტრუქცია.

ოქრო და ვერცხლი - ლანჩხუთიდან

ამ დღეებში, ქ. ლანჩხუთში, ჩატარდა საქართველოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ხაშურელმა სპორტსმენებმა.

პირველი ადგილი დაიკავა გიორგი ნასყიდაშვილმა 60 კგ. წონით კატეგორიაში (მწვრთნელი ბუხუტი ბუხრიკიძე).

მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა ზაურ დვალაშვილმა 66 კგ. წონით კატეგორიაში (მწვრთნელი ბეგლარ ხარშილაძე). გუნდი შეჯიბრისათვის მოამზადეს არჩილ მამულაშვილმა და ბუხუტი ბუხრიკიძემ.

წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენს სპორტსმენებს მომავალ ასპარეზობებში.

ახალი სპექტაკლი – საჩუქარი პატარებს

ხაშურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „კულტურის ცენტრების გაერთიანებამ“ ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ პატარებს საჩუქარი გაუკეთა და სურამის კულტურის ცენტრში, რეჟისორ-დარეჯან ბლიაძის ხელმძღვანელობით, საბავშვო სპექტაკლი „დათვი და ფუტკრები“ წარმოუდგინა.

სპექტაკლმა წარმატებით ჩაიარა.

ჩარმატება საერთაშორისო ფესტივალზე

ამ დღეებში, ბათუმში, ჩატარდა ხელოვნების VI საერთაშორისო ფესტივალი “ჰარმონია”. სხვათაშორის, ფესტივალი თურქეთში, კერძოდ კი ანკარაში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ საერთაშორისო ჟიურის გადაწყვეტილებით, თურქეთში შექმნილი დაძაბულობის გამო, უსაფრთხოების მიზნით, იგი ბათუმში გადამისამართდა. ფესტივალში ხაშურის სამუსიკო სკოლის ორი მოსწავლე იღებდა მონაწილეობას-ანი და სოფო ნოზაძეები (პედაგოგები თამაზ აბრამიძე და ფატი სადაღაშვილი). სოფო ნოზაძე კონკურსანტებს შორის ყველაზე პატარა იყო-იგი ჯერ პირველკლასელია. მიუხედავად ამისა, მან ვიოლინოზე ბრწყინვალედ შეასრულა კომროვსკის “უწყვეტი მოძრაობა”, ბაკლანოვის “მაზურკა” და რიდინგის “სი-მი-ნორი” (პირველი ნაწილი) და აიღო მეორე საპრიზო ადგილი(აღსანიშნავია, რომ პირველი ადგილი არავის მინიჭებია). ამასთან ერთად, იგი მოხვდა გალა-კონცერტზე და მიიღო წინადადება, რომ ორკესტრთან ერთად დაუკრავს. რაც შეეხება ანი ნოზაძეს, მისი გამოსვლაც ასევე წარმატებული იყო და მის მიერ მოპოვებული მეორე საპრიზო ადგილი, უდავოდ, მის დიდ ტალანტზე მეტყველებს.

ჩვენი სამუსიკო სკოლის აღსაზრდელები ამ ბოლო პერიოდში მართლაც დიდ წარმატებებს აღწევენ და იმედია, მომავალშიც ასე გაგრძელდება.

ვულოცავთ!

საბიბლიოთეკო კვირეულის ფინალში, რომელიც საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა დევიზით - „თანამედროვე ტექნოლოგიები, ჩემი ბიბლიოთეკის მოდერნიზაცია“, 2016 წლის გამარჯვებული ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა გახდა.

განცხადება

ხაშურის საზოგადოება „ტრანსპორტი 1“-ის ადმინისტრაცია გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 20 ივნისს, ორშაბათს, 11 საათზე, სააქციო საზოგადოების ადმინისტრაციულ ჯორჯუსში (ბორჯომის ქუჩა №28 ყოფილი სატვირთო-ავტოსატრანსპორტო საწარმოს ტერიტორია) გაიმართება აქციონერთა საერთო ჯრება სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით (გამოკლებული წევრის გამო).

ადმინისტრაცია

“როგორც საძროხე ქვაბს ოხშივარი, ქართლის ხეობებს ასდით ნისლები“.
ამირან ხაჩიძის ფოტო.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაცია, თავმჯდომარე ინეზა ელისაშვილი თანაუგრძნობს VIII საჯარო სკოლის პედაგოგს, ქალბატონ ნანი ზარხოზაშვილს შვილის გარდაცვალების გამო.

D

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@.gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.

აქ ყველაფერი გაგაგიტყვებთ

D

ბევრმა, შესაძლოა, არც კი იცის, რომ ქალაქის ცენტრში, რუსთაველის ქუჩაზე, №22-ში, უკვე 4 წელია ფუნქციონირებს „კულინარი 2012“, რომელშიც ადგილზე დამზადებულ 30

დასახელების პროდუქციას შემოგთავაზებენ .

ჯერ კიდევ გარედან იქცევს ყურადღებას ეს ნათელი, სუფთა, კოპწია შენობა, რომელიც ქალაქის საავადმყოფოს ცენტრალური შესასვლელის დასაწყისში, ხელმარცხნივ მდებარეობს. შესვლისთანავე გაგაოცებთ აქ შექმნილი სისუფთავე, სიმყუდროვე, სიმშვიდე, მაქსიმალური კომფორტი და, რაც მთავარია, აქაური ნამზადის გემო, მრავალფეროვნება და ხარისხი.

არც ისე ვართ განებივრებული ისეთი ადგილებით, სადაც ყოველდღიურობით გადაღლილნი სულის სიმყუდროვეს ვიპოვით, სადაც თბილად

მიგვიღებენ, გაგვიღიმებენ, მოგვემსახურებიან, სადაც მიმზიდველ, მშვიდ, მყუდრო, სუფთა გარემოში დაივანებთ დამაშვრალნი. დანაყრდებით, გახალისდებით, სტუმარსაც მიიყვანთ, გაუმასპინძლდებით, დაბოლოს, დიდად კმაყოფილი დარჩებით.

სწორედ ასეთი გარემოა აქ და მიუხედავად იმისა, რომ იგი ქალაქის ყველაზე ხალხმრავალ ადგილას მდებარეობს,სადაც მთელი ხაშურის მაჯისცემა იგრძნობა, აქაური სიმშვიდე და სიწყნარე იდეალური დასვენების საშუალებას იძლევა. აქ მართლაც სიამოვნებით წაიყვან სტუმარს, როცა ყველაზე მეტად გინდა, გამოიჩინო თავი სტუმართმოყვარეობითა და მასპინძლობით.

კომპანია მთლიანად აღჭურვილია ცნობილი იტალიური ბრენდის დანადგარებით. აქ დასაქმებულია 10 ადამიანი. მომუშავე პერსონალს პროფესიების მიხედვით გავლილი აქვთ სტაჟირება.

პროდუქციის მომზადებაში იყენებენ უმაღლესი ხარისხის ინგრედიენტებს. მომხმარებელს უფლება აქვს, თვითონ იხილოს, დაესწროს, თუ როგორ მზადდება პროდუქცია შენობის ქვედა სართულზე. ყველაფერი ყოველთვის უმაღლესი ხარისხისაა, ამიტომაც აირჩია კომპანიამ სლოგანი „ყოველთვის გემრიელია“, რომელიც 100%-ით ამართლებს მისი საქმიანობის შედეგს. მომხმარებელმა იცის, რომ ყოველდღიურად ხდება კომპანიის საკუთრებაში არსებული ინვენტარის გარეცხვა, გასუფთავება, სტერილიზაცია. სწორედ ამიტომ „კულინარი 2012“-ის ხშირი სტუმრები არიან როგორც ქ. ხაშურის მოქალაქეები, ასევე ჩვენი ქალაქის სტუმრები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, მათ შორის ბევრი ცნობილი სახე.

ამ ადგილას!

ამ ადგილას!

D

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe 2015@.gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“ ხაშურის ფილიალი, საიდენტ-
ფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB0115114434590001.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.